

საქართველოს გზა ვილნიუსის სამიტის შემდეგ

სერგი კაპანაძე Forbes Georgia იან, 14, 2014

Recommend 152

Share

Tweet 4

+1 0

13



ვილნიუსის სამიტმა საქართველოსა და რეგიონის მომავლის საკითხი ძალიან ნათლად დააყენა - ან ევროპა, ან რუსეთი.

ასე მკაფიოდ საკითხი ამ რეგიონში ჯერ არ დამდგარა. ყველაზე ახლოს ეს რეგიონი მსგავს დილემატთან 2008 წლის აპრილში იდგა, როდესაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი ნატოს ბუქარესტის სამიტზე განიხილებოდა. მაშინ ალიანსის წევრებმა ცალსახად თქვეს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ნატოს წევრები, თუმცა არ მისცეს ამ ქვეყნებს წევრობის სამოქმედო გეგმა. შედეგად რუსეთმა

ჯერ საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა ძალა, შემდეგ კი უკრაინის ოპოზიციის ღია მხარდაჭერით უკრაინაში პრორუსული იანუკოვიჩი მოიყვანა ძირითადად აღმოსავლეთუკრაინელი ამომრჩევლების მხარდაჭერის ხარჯზე.


ნატოსგან განსხვავებით, ევროკავშირთან დაკავშირებით მსგავსი დილემა აქამდე არ დაფიქსირებულა. ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთის პარტნიორობა შექმნის დღიდან აღიქმებოდა როგორც ევროკავშირის გეგმა რუსეთისთვის ტრადიციული პარტნიორობის ჩამოცილებისა. 2009 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი აცხადებდა, რომ ევროკავშირს უნდა დაემტკიცებინა რუსეთისთვის, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა არ ავდებდა პარტნიორ სახელმწიფოებს რუსეთთან დაპირისპირების რეჟიმში“. იმავეს ამბობდა დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვი და ზოგადად რუსული ისტებლიშმენტი ევროკავშირის გეგმების შესახებ აღმოსავლეთის პარტნიორობთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, ამგვარი მიდგომა სხვა არაფერია, თუ არა კრემლის სურვილი, რომ გააკონტროლოს თავისი მეზობლები და მათი სუვერენული უფლება - ჰქონდეთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა - მხოლოდ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებაროს. ამას დიპლომატიურ ენაზე „გავლენის სფეროების“ დაფიქსირება ჰქვია. გავლენის სფეროებად ტერიტორიების მონიშვნა კი ევროპისა და ეუთოს კონტინენტზე დამუშავებული არ არის. 1999 წელს სტამბოლში ეუთოს სახელმწიფოებმა მიიღეს ევროპის უსაფრთხოების ქარტია, რომელშიც შეთანხმდნენ, რომ „ეუთოს ფარგლებში არც ერთი სახელმწიფო, სახელმწიფოების ჯგუფი, ან ორგანიზაცია არ ჩათვლის ეუთოს არც ერთ ნაწილს თავისი გავლენის სფეროდ“. სულ ბოლოს ეუთოს სახელმწიფოებმა ეს განცხადება 2010 წელს გაიმეორეს ასტანის სამიტის მემორიალურ დეკლარაციაში. მიუხედავად ამისა, რუსეთი აგრძელებს თავისი „ახლო სამეზობლოს“ გავლენის სფეროდ დაფიქსირებას და ღიად აცხადებს, რომ არ დაუშვებს მათზე ევროპული ინტეგრაციის პროცესის გავრცელებას. უფრო მეტიც, როგორც ალტერნატივას, რუსეთი ამ რეგიონს სთავაზობს საკუთარ ინტეგრაციულ პროექტს - ევრაზიულ ინტეგრაციას, მანამდე კი საბაჟო კავშირსა და ევრაზიულ ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებას.

ევროკავშირისთვის რუსეთის ასეთი დამოკიდებულება გავლენის სფეროების მიმართ სრულიად მიუღებელია. ბრიუსელის პოლიტიკის ყველაზე კარგად ასახავს 2009 წელს შედგენის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტის, მიერ გავრცელებული განცხადება, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა არ არის გავლენის სფეროების შესახებ. განსხვავება იმაშია, რომ ამ ქვეყნებმა თავად აირჩიეს პარტნიორობის პროგრამაში განწევრიანება“. ეს მართლაც ასეა. აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით აირჩიეს ევროკავშირთან თანამშრომლობა, ამიტომ რუსეთის პრეტენზიები მათი საგარეო პოლიტიკის მიმართ უსაფუძვლოა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოლდოვაში, უკრაინაში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ნათლად აჩვენებს, რომ ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერა საკმაოდ მაღალია. ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, ევროკავშირში ინტეგრაციის იდეა მაღალი მხარდაჭერით სარგებლობს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობა ანალოგიურად ფიქრობს. იმავე უკრაინაში მოსახლეობის თითქმის 60% მხარს უჭერს უკრაინის ევროპულ ინტეგრაციას, რასაც ხელს არ შეუშლია იანუკოვიჩისთვის, უარი განეცხადებინა ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე და იმის უარს უთხარა, რომ ის აღმოსავლეთის პარტნიორობის იდეას სახელმწიფოში ყველა მხარის

ბოლო პოსტები



ირანთან საქმის მოგვარება შეუძლებელია?
პოლ ჯონსონი Forbes მარ, 14, 2014



უმადლესი განათლების გამოწვევები
გორგი ცხადია Forbes Georgia მარ, 13, 2014



ეკონომიკური ზრდა და სოციალური კეთილდღეობა
ლარისა პატარაია Forbes Georgia მარ, 11, 2014



ტყუილები გრძელდება
სტივ ფორბსი Forbes მარ, 10, 2014

ბოლო ვიდეოები




ინტერვიუ ლადო გურგენიძესთან
15 ნოემბერი 2013



ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან
14 ოქტომბერი 2013



5,318 people like Forbes Georgia.



Facebook social plugin

სელსოფოაიე. ოა თუთა უსდა, აღსოთაველუთოთ აოთსოთოთოთი ყუყუ სასელსოთიფოთი ყუყულა სსგავსა პოზიციებზე არ არის. ბელარუსსა და აზერბაიჯანს არც სურთ და არც შესაძლებლობა აქვთ, პარტნიორობის პროგრამის სრულფასოვანი წევრები გახდნენ. ძირითადად ამის განმაპირობებელი იქ არსებული ავტორიტარული რეჟიმებია. სომხეთს შეიძლება სურვილი ჰქონდეს, თუმცა არა აქვს შესაძლებლობა რუსეთზე მაღალი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებისა და ყარაბაღის კონფლიქტის გამო. რაც შეეხება საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, მათ ბოლო პერიოდამდე სურვილიც ჰქონდათ და შესაძლებლობაც სრულად გამოეყენებინათ აღმოსავლეთის პარტნიორობის მიერ შეთავაზებული სიკეთეები - ასოციაციის ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის წევრობა, ვიზების ლიბერალიზაცია და ასე შემდეგ.

შესაბამისად, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ევროკავშირისკენ გადაწყვიტეს გეზის აღება, რეალურად გაითავისეს, რომ ისეთი ღირებულებების გაზიარება მოუწევდათ, როგორცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის პრინციპები.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს უნდა მიეღოთ პოლიტიკური, ან, გნებავთ, გეოპოლიტიკური გადაწყვეტილება - აერჩიათ ან დასავლეთი და ევროპული ინტეგრაცია, ან რუსეთი და ევრაზიული ინტეგრაცია. ბელარუსმა ეს გადაწყვეტილება ევროპის სანინააღმდეგოდ მიიღო, სომხეთმა - რუსეთის სასარგებლოდ, აზერბაიჯანს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მოლდოვამ და საქართველომ ევროპის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი, ხოლო უკრაინის ხელისუფლებამ რუსეთის სასარგებლოდ და, შესაბამისად, ევროპისა და საკუთარი მოსახლეობის სანინააღმდეგოდ.

რა ხდება უკრაინაში?

ბოლო რამდენიმე კვირაა, უკრაინის მოსახლეობა ითხოვს პრეზიდენტისა და მთავრობის გადაყენებას. მაიდანის, რომელსაც ამჯერად ევრომაიდანის ჰქვია, საცხეა უკრაინელებით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იანუკოვიჩის ხელისუფლებამ უღალატა ეროვნულ ინტერესებს და ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერის ნაცვლად რუსეთისკენ გადადგა ინტეგრაციული ნაბიჯი. ოპოზიციის სამი გამოკვეთილი ლიდერი, პოლიტიკური გაერთიანება „უდარის“ თავმჯდომარე ვიტალი კლიჩკო, პოლიტიკური პარტიის „ბატკივშიჩინას“ ლიდერი არსენი იაცენიუკი და საერთოუკრაინული გაერთიანება „სვოხოდას“ თავმჯდომარე ოლეგ ტიაგნიბოკი მიიჩნევენ, რომ იანუკოვიჩმა ვადამდეველი არჩევნები უნდა დანიშნოს, ხოლო ქვეყანამ შეუქცევადად უნდა გააგრძელოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი. პრეზიდენტი იანუკოვიჩი კი აცხადებს, რომ უკრაინის ეკონომიკისთვის აუცილებელია დაფიქრებული გადაწყვეტილების მიღება და იმ რისკების დაბალანსება, რაც შეიძლება რუსეთის მხრიდან უკრაინის „დასჯას“ მოჰყვეს ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

სანამ ევრომაიდანზე ვნებები ბოლოქრობს, აუცილებელია უკრაინის მაგალითის კარგი გაანალიზება, რადგან უკრაინის დილემა მართლაც რეალურია და შეიძლება არცთუ ისე შორს იყოს ის დღე, როდესაც ოფიციალურ თბილისსა და კიშინიუსსაც მსგავსი დილემების დაძლევა მოუწევს. უკრაინის შემთხვევაში სავესებით ნათელია, რომ რუსეთმა ყველა ბერკეტი გამოიყენა იმისთვის, რომ უკრაინის ხელისუფლებას ხელი არ მოეწერა ასოციაციის ხელშეკრულებისთვის. დღეს უკრაინა ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამოკიდებული სახელმწიფოა რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტზე. უკრაინა 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში იხდის 400 დოლარს, რაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ფასია. უკრაინა დიდი ხანია, ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება რუსეთის ბუნებრივ აირზე. მხოლოდ 2013 წელს უკრაინის ხელისუფლებამ ხელშეკრულებები გააფორმა „შელთან“ და „შევრონთან“ ფიქლის გაზის წარმოებასთან დაკავშირებით და ასევე დაიწყო მოლაპარაკებები „ექსონ მობილთან“ შელფიდან ბუნებრივი აირის ამოღებასთან დაკავშირებით. ამასთან, უკრაინა ცდილობს შემოიყვანოს სხვადასხვა ევროპული კომპანია, რომლებიც მეტი რაოდენობის ბუნებრივ აირს აწარმოებენ. მათ შორისაა იტალიური „ენი“ და საფრანგეთის „ელექტრისიტე დე ფრანსი“.

გარდა ამისა, უკრაინა ცდილობს აამოქმედოს ადრიატიკის გაზის კორიდორის პროექტი უნგრეთსა და ხორვატიასთან ერთად, რაც საშუალებას მისცემს უკრაინას გამოიყენოს ბუნებრივი აირი, რომელიც 2017 წლიდან წარმოებული იქნება ხორვატიის კუნძულ კრკზე მდებარე LNG ტერმინალში. პარალელურად პოლონეთიც და უნგრეთიც საშუალებას აძლევენ უკრაინას, რომ საჭიროების შემთხვევაში რევერსულად გამოიყენოს ბუნებრივი აირის მილსადენები და მოიხმაროს ევროპული გაზი.

თუმცა ყველა ეს მცდელობა გრძელვადიან დივერსიფიკაციას უკავშირდება. მოკლე ვადაში, უკრაინას დიდი არჩევანი არა აქვს, რადგან ექსკლუზიურად დამოკიდებულია „გაზპრომზე“. 2013 წლის ნოემბრის დასაწყისში უკრაინამ სცადა შეემცირებინა „გაზპრომისგან“ ნაყიდი ბუნებრივი აირი, და კონტრაქტის განწყვეტილად დაემუქრა, თუმცა საბოლოო ჯამში იძულებული გახდა აღედგინა ბუნებრივი აირის მიღება, რადგანაც „გაზპრომი“ ბლევს არ წამოეყო.

ბუნებრივი აირის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ უკრაინა ქვეყნის შიგნით ბუნებრივი აირის ფასების სუბსიდირებას ახდენს, რათა მოსახლეობამ მაღალი ფასი არ გადაიხადოს გაზში. ეს კი ქვეყნის მილიარდები უჯდება. ამის გამო უკრაინა ვერ ახერხებს დროულად „გაზპრომისთვის“ თანხების გადახდას. 2013 წელს კიევს „გაზპრომის“ 1 მილიარდი დოლარი მართებს. ცხადია, პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებდა ქვეყნის შიგნით ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდა, თუმცა ხელისუფლება ამას არ აკეთებს, რადგან უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები 2015 წელს არის დაგეგმილი, ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდა კი სერიოზულად დაარტყამს იანუკოვიჩის რეიტინგს.

უფრო მეტიც, მთავრობა არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს უჭერებს, რომელიც 2011 წლიდან დაუჩინებლად სთხოვს უკრაინას ენერგეტიკული ბაზრის დარეგულირებას, რაც, პირველ რიგში, შიდა ბაზარზე ფასების სუბსიდირების გაუქმებას გულისხმობს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკრაინას 15-მილიარდიანი ტრანში შეუჩერა. ახალი ტრანშის მისაცემად IMF ასევე სხვა მოთხოვნებსაც უყენებს უკრაინას: ვალუტის მოქნილი კურსის შემოღებას (უკრაინის მთავრობა წლებია, ხელფონურად აჩერებს გრივნის კურსს დოლართან 8:1-ზე), და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას (წინა წელს უკრაინამ 25 ადგილით გაიმჯობესა ბიზნესის წარმოების რეიტინგში ადგილი და 112-ე ადგილზე გადაინაცვლა. ცნობისთვის, საქართველო ამ რეიტინგში მე-8 ადგილზეა).

ამ პრობლემას ასევე ემატება უკრაინის ექსპორტის რუსეთზე დამოკიდებულება და რუსეთის მიმართ დიდი საგარეო ვალი. იანუკოვიჩმა ვილინიუსის სამიტამდე ღიად განაცხადა, რომ მას დაახლოებით 500 მილიარდი ევრო დასჭირდება, რომ დაფაროს ის ზარალი, რომელსაც აღმოსავლეთუკრაინული კომპანიები ნახავენ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ემბარგოს დაადებს უკრაინულ პროდუქციას. უკრაინამ ასევე 100 მილიარდ ევრომდე მოითხოვა იმ სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც აუცილებელია ევროკავშირის ბაზარზე უკრაინული კომპანიების სრულად მოსახვედრად.

რა თქმა უნდა, ეს თანხები აბსურდულად მაღალია. ევროპელი ექსპერტები და დიპლომატები, მათ შორის, ჩემთან საუბრებშიც, ხშირად ამბობენ, რომ ეს თანხები იანუკოვიჩმა ზედმეტად გაბერა, რათა სოლიდური პირადი მოგება ნახოს იმ შემთხვევაში, თუ ასეთ სესხს მას ევროკავშირი და ამერიკა, ასევე საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტები მისცემენ. რეალურად კი უკრაინას ალბათ 20 მილიარდამდე დასჭირდება, რომ სტრუქტურული რეფორმები განახორციელოს და რუსეთის მიერ გამოცხადებულ სავარაუდო ემბარგოს ზიანი გადაიტანოს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა ყველა ეს ბერკეტი ერთდროულად აამოქმედა, როდესაც უკრაინას მხოლოდ რამდენიმე დღე რჩებოდა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. მოსკოვი დაემუქრა უკრაინას, რომ სასწრაფოდ მოსთხოვდა საგარეო ვალის უკან დაბრუნებას, კიდევ გააძვირებდა ბუნებრივ აირს და დაუკეტავდა ბაზარს უკრაინულ ექსპორტს. ეს ყველაფერი პუტინმა შეფუთა როგორც „დამცავი ზომები რუსული კომპანიებისთვის“, რომელთაც იაფი ევროპული პროდუქცია დაემუქრებოდა, თუ უკრაინა ხელს მოაწერდა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. ამგვარი სცენარიის შემთხვევაში, ფაქტია, რომ უკრაინა გარდაუვალი დეფოლტის წინაშე დგებოდა. უკრაინის საგარეო ვალი 100 მილიარდ დოლარამდე აღის, აქედან მომდევნო წელს მას 60 მილიარდამდე ვალის გადახდა უწევს, საიდანაც სახელმწიფოს ვალი 7 მილიარდი დოლარია. ერთადერთი გზა, რომ უკრაინამ ეს ვალი დროულად გადაიხადოს, არის საგარეო დახმარება, კერძოდ კი საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, კიევი არ თანხმდება სავალუტო ფონდის პირობებს. გადახდის მეორე გზა არის ფულადი რეზერვები, რომლებიდანაც უკრაინას მხოლოდ 20 მილიარდი დოლარი დარჩა. სხვადასხვა შეფასებით, თუ უკრაინა ამ რეზერვს აამოქმედებს, გაისად 5 მილიარდიდან 13 მილიარდამდე რეზერვილა დარჩება, რაც პრაქტიკულად გარანტირებულ დეფოლტს ნიშნავს საშუალოვადიან პერსპექტივაში. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისედაც დღეს უკრაინის დეფოლტის შესაძლებლობა მომდევნო 5 წელიწადში 50 პროცენტით ფასდება, რაც ყველაზე მაღალი ალბათობაა არგენტინის შემდეგ, რომელმაც ერთი დეფოლტი უკვე განიცადა 15 წლის წინ.

ამ ბერკეტებთან ერთად რუსეთმა ღიად აგრძობინა იანუკოვიჩს, რომ ის არ არის აუცილებლად ერთადერთი კანდიდატი, რომელსაც მოსკოვი მხარს დაუჭერს 2015 წლის არჩევნებში. წლის დასაწყისში გამართულ შეხვედრაზე, სადაც იანუკოვიჩმა, სავარაუდოდ, პირველად სცადა აეხსნა პუტინისთვის, რომ მან ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერა გადაწყვიტა, პუტინმა შეხვედრა რამდენიმე წუთში შეწყვიტა. მიმდინარე წლის აგვისტოში რუსულ მედიაში „გაჟონა“ ვითომ საიდუმლო დოკუმენტმა სათაურით „ზომების კომპლექსი უკრაინის ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩასართველად“. ამ დოკუმენტში 20-მდე ნაბიჯზეა საუბარი უკრაინის ევროპული ორიენტაციის შესაცვლელად. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემია ღია ტექსტით დაფიქსირება, რომ რუსეთის დასაყრდენი უკრაინაში შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მოძრაობა „უკრაინული არჩევანი“ ვ.მედვედჩუკის ხელმძღვანელობით.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მუქარასთან ერთად რუსეთმა უკრაინას ალტერნატივაც შესთავაზა - ევროპულ კავშირში გაწევრიანება, მანამდე კი საბაჟო კავშირის წევრობა და იაფი ბუნებრივი აირი. როგორც რამდენიმე დღის წინ ეკონომისტის კომენტატორმა ედვარდ ლუკასმა დანერა, სოჭში 6 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე იანუკოვიჩი და პუტინი შეთანხმდნენ, რომ უკრაინის საბაჟო კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ უკრაინა ბუნებრივ აირში მხოლოდ 200 დოლარს გადაიხდის, რუსული ბაზარი უკრაინელი მწარმოებლებისთვის არ დაიკეტებოდა, ხოლო ვალების რესტრუქტურისაცა უმტკივნეულოდ მოხდებოდა. ეს ინფორმაცია ორივე მხარემ უარყო, თუმცა ბევრი კომენტატორი დღესაც მიიჩნევს, რომ ამ თემაზე უკრაინისა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის პრინციპული შეთანხმება უკვე არსებობს და ახლა ჯერ მხოლოდ სწორი დროის მონახვაზეა, რომ მოსახლეობას ეს სიახლე ამცნონ.

ასოცირების ხელშეკრულებები, როგორც პირობითობის კარგი მაგალითი.

თუ ცოტა ღრმად გავაანალიზებთ აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებით დღეს მიმდინარე მოვლენებს, ვნახავთ, რომ პირველად ბოლო ოცი წლის მანძილზე უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას მიმართ ევროკავშირი იყენებს ხისტი პირობითობის ინსტრუმენტს, ანუ გვთავაზობს სარგებელს კონკრეტული რეფორმების ნაცვლად და გვემუქრება სარგებლის შემცირებით, ან სხვა ირიბი სანქციით, რეფორმების არგატარების შემთხვევაში. ანალოგიური

დამოკიდებულების გამო, ასოცირების ხელშეკრულებების პარაფირება, ხელმოწერა და რატიფიცირება იქცა გავლენის რეალურ ინსტრუმენტად ევროკავშირის მხრიდან. ეს ახალი მიდგომაა ბრიუსელისთვის და ამ ეტაპზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ ეფექტიანია.

უკრაინისა და ევროკავშირის მიერ 2012 წელს პარაფირებული ხელშეკრულება ძალაში არ შევიდა ძირითადად იულია ტიმოშენკოს დაკავებისა და შერჩევითი სამართლის გამოყენების გამო. ევროკავშირისა და უკრაინის ასოცირების ხელშეკრულება 2011 წლის ბოლოს იქნა შეთანხმებული, თუმცა 2011 წლის 19 დეკემბერს ევროკავშირმა პარაფირებისა და ხელმოწერის გადადების შესახებ გააკეთა განცხადება. 2012 წლის 30 მარტამდე, როდესაც უკრაინამ ხელშეკრულების პარაფირება მოახდინა ბრიუსელში, ევროკავშირმა ღიად დააფიქსირა ხელშეკრულების ხელმოწერაზე პროგრესის ბმა იულია ტიმოშენკოს, იური ლუცენკოსა და სხვა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების საკითხთან. 2012 წლის 10 დეკემბერს ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ კიდევ ერთხელ ღიად განაცხადა, რომ პარაფირებული ხელშეკრულების ხელმოწერა დამოკიდებული იქნებოდა უკრაინის მიერ შერჩევითი სამართლის პრობლემის დაძლევაზე.

2012 წლიდან ევროკავშირის მხრიდან ტიმოშენკოს საქმეზე სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა. ევროპარლამენტის პრეზიდენტი პეტ კოქსი და პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრ კვაშნევსკი 30-ჯერ მაინც ესტუმრნენ უკრაინას და მრავალი შეხვედრა გამართეს როგორც პრეზიდენტ იანუკოვიჩთან და უკრაინის მთავრობის წევრებთან, ისე სატუსალომო მყოფ იულია ტიმოშენკოსთან. კოქსი-კვაშნევსკის მისია მიზნად ისახავდა ისეთი გამოსავლის მოძებნას, რომელიც გაათავისუფლებდა იულია ტიმოშენკოს და საშუალებას მისცემდა ევროკავშირს, ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებისთვის. ვილინიუსის სამიტისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის მიმართვის დროს, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ უკრაინა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას არ აპირებდა, კვაშნევსკიმ და კოქსმა დიდი სინანული გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიქცა იანუკოვიჩი. თავიანთ გამოსვლაში მათ ხაზი გაუსვეს, რომ ბოლომდე სჭეროდათ, რომ იანუკოვიჩთან მოლაპარაკებები გულწრფელი იყო, თუმცა ბოლო შეხვედრებზე ნათელი გახდა, რომ უკრაინის პრეზიდენტი მხოლოდ რუსეთთან უკეთესი გარიგების მისაღებად იყენებდა ევროკავშირთან მოლაპარაკებებს.

ევროკავშირი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან მიმართებით პირველად იყენებს ასოცირების ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულების მიერ შეთავაზებულ სიკეთებს პირობების წასაყენებლად თავიანთი პარტნიორობისთვის. ამგვარი პირობითობა ადრე ევროკავშირის ურთიერთობებში მის მეზობლებთან დამახასიათებელი არ იყო.

პირობითობის ამგვარად გამოყენება უკრაინასთან მიმართებით კარგი გავლენილი უნდა იყოს საქართველოსა და მოლდოვას ხელისუფლებისთვის. ამ ორ ქვეყანაში დემოკრატია შეუქცევად ხასიათს იღებს, თუმცა მაინც შეინჩნევა პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც განსაკუთრებით პოლიტიკურ შურისძიებაში იჩენს თავს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირდაპირი ინფორმაცია, ზოგიერთ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ევროკავშირის მხრიდან ვილინიუსის სამიტზე ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის შესახებ ხელშეკრულების მხოლოდ პარაფირება და არა ხელმოწერა სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ევროკავშირის სურდა დარწმუნებულიყო, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საქართველოში 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ფაქტია, რომ თუ საქართველოში პოლიტიკური დევნა გაგრძელდებოდა, 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას და შემდგომ რატიფიკაციას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

რუსეთის ბერკეტები საქართველოსა და მოლდოვაზე შემოქმედებისათვის

მაგრამ საფრთხეებზე საუბრის დროს, ბუნებრივია, არ უნდა დავივიწყოთ მთავარი საფრთხე - რუსეთის მხრიდან ზეწოლა საქართველოზე საგარეო პოლიტიკური კურსის შესაცვლელად. უკრაინის პრობლემები ბადებს ბუნებრივ კითხვას - გამოიყენებს თუ არა რუსეთი მსგავს, ან დაახლოებულ ჯერ ისევ



ლეთით
აპული 12

სახელმწიფოსთვის მოხდა 2004 - 2007 წლებში, თუ შეფარული, როგორც ეს დღეს ხდება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან, სულ ერთია და ისეთივე საფრთხის შემცველია, როგორც, ვთქვათ, ნატოს გაფართოება. მასხენდება ჩემი საუბარი ერთ-ერთ რუს მაღალჩინოსან დიპლომატთან, როდესაც მან გულწრფელად მითხრა - ნატო თუ ევროკავშირი, ჩვენთვის სულ ერთია. საქართველოს არც ერთ მაღალჩინო ინტელეგენციას საშუალებას არ მივცემით. ამიტომ თითქმის გარდაუვალია, რომ მომდევნო ერთი-ორი წელი საქართველოსა და მოლდოვასთვის ძალიან რთული იქნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოლდოვა, სადაც გაისად არჩევნები იმართება და მომძლავრებული კომუნისტური პარტია ყველაფერს იღონებს, რომ ევროპული ინტელეგენციის ალიანსი, რომელიც სამი პარტიისგან შედგება, დაამარცხო და ევროპული ინტელეგენციის პროცესის შეუქცევადობა შეაჩეროს.

რუსეთის მხრიდან უკვე გაისმა გამაფრთხილებელი სიგნალები მოლდოვასთან მიმართებით. სექტემბერში დმიტრი როგოზინმა ცალსახად განაცხადა, რომ მოლდოვას მომდევნო ინტელეგენცია ევროკავშირთან პირდაპირ აისახებოდა მოლდოველი მიგრანტების რუსეთში ყოფნაზე, ასევე მოლდოვურ ექსპორტზე რუსეთში და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების ალბათობაზე. ანალოგიურად, რუსეთი ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ საქართველომაც შეანელოს ან შეცვალოს

ევროპული კურსი. ამ მიზნით, ჩემი აზრით, რუსეთი ინსტრუმენტების ნაზავს გამოიყენებს, ანუ მიმართავს როგორც თაფლაკვერის, ისე მათრახის პოლიტიკას. ამ ინსტრუმენტებს შორის, შესაძლებელია იყოს ყველა, ან რომელიმე ქვემოთ მოყვანილთაგან:

- საქართველოს მხრიდან რუსეთში გაზრდილი ექსპორტის თავიდან დაკეტვა. ბოლო ერთ წელიწადში ქართველმა ექსპორტიორებმა (ლენო, მინერალური წყლები) რუსულ ბაზარზე დაბრუნება მოახერხეს. მართალია, ეს მოცულობები ჯერ დიდი არაა, მაგრამ საკმაოდ სერიოზულად შეიძლება გაიზარდოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. რუსეთს ადვილად შეუძლია ამ პროდუქციისთვის ბაზრის დაკეტვა ზენოლის მექანიზმად გამოიყენოს.
- საქართველოს ეკონომიკაში დიდი ალბათობით შემდეგი წლის განმავლობაში გაიზრდება რუსეთიდან მომავალი ინვესტიციები. ამ ინვესტიციების შეჩერების მუქარა ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული ბერკეტად საქართველოსთან მიმართებით.
- რუსეთში საქართველოს რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე ცხოვრობს. მათი საქართველოში გამოძევება რუსეთმა უკვე სცადა 2006 წელს, რის გამოც საქართველომ რუსეთს სტრასბურგშიც უჩივლა (გადანევტილება შემდეგი წლის დასაწყისში უნდა იყოს ცნობილი და, დიდი ალბათობით, საქართველო ამ საქმეს მოიგებს). იმავეს გამეორება რუსეთის მხრიდან შეიძლება სერიოზული დარტყმა იყოს საქართველოს შრომით ბაზარზე, ასევე ფულადი გზავნილების რაოდენობაზე.
- რუსეთს ასევე შეუძლია შეწყვიტოს რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების გამოგზავნა. მოსკოვი ამ ინსტრუმენტს სერიოზულად განიხილავდა 2006 წელს, თუმცა საბოლოოდ ამგვარი რადიკალური ნაბიჯისგან თავი შეიკავა. ფულადი გადარიცხვები საქართველოს ეკონომიკის საკმაოდ სერიოზულ ნაწილს შეადგენს, ამიტომ მათი შეზღუდვა აუცილებლად მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე.
- რუსეთს შეუძლია კიდევ უფრო დაძაბოს ურთიერთობა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, მათ შორის, სხვადასხვა სახის პროვოკაციის გამოყენებით, ან საოკუპაციო ხაზის კიდევ უფრო გადმოწევა. ნებისმიერი ასეთი ქმედება უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოებაზე და საბოლოო ჯამში ურტყამს ჩვენს იმიჯს.
- სულაც არ არის გამორიცხული, რუსეთმა კვლავ მიმართოს ძალის გამოყენების ტაქტიკას, მით უმეტეს, რომ ამგვარი მექანიზმი მან 2008 წელს უკვე გამოიყენა. რა თქმა უნდა, ეს რადიკალური ნაბიჯი იქნება, მაგრამ სხვა ვარიანტების ჩავარდნის შემთხვევაში, საქართველო მოვლენების ამ სცენარით განვითარებისთვისაც მზად უნდა იყოს.
- ასევე სავარაუდოა, რომ რუსეთმა ჩვენთან მიმართებით უკრაინის მსგავსად „თაფლაკვერის პოლიტიკაც“ გამოიყენოს; კერძოდ, რუსეთს შეუძლია გვითხრას, რომ თუ ჩვენ არ გავაგრძელებთ ევროპულ ინტეგრაციას, მივიღებთ გარკვეულ დივიდენდებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით (მინიმუმ, რუსეთი შეგვიპირდება, რომ აღარ ეცდება მეტი აღიარების მოპოვებას; მაქსიმუმ, რაც ამ ეტაპზე გამორიცხულია, შემოგვთავაზებს აღიარების უკან განვევას). ყველაზე რეალისტური სცენარით კი რუსეთი ალბათ გავარძნობინებს, რომ ურთიერთობების მომდევნო დათბობა შეუძლებელი იქნება ევროპული ინტეგრაციის პროცესის შეწყვეტის გარეშე.

ყოველივე ამის გამო, ჩემი აზრით, მომავალი რამდენიმე წელიწადი საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე იქნება. თუმცა ამ წლებში გამოჩნდება სწორედ, თუ რა მიმართულებით მივდივართ და რამდენად შეუქცევადია ჩვენი სწრაფვა ევროპულ ოჯახში დაბრუნებისკენ.

სტრეი კაპანაძე Forbes Georgia ან, 14, 2014

Recommend 152 Share Tweet 4 G+ 0 13



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Vakhtang Berikashvili (Change) Com



Beka Jikia · Works at Ministry of Corrections and Legal Assistance

მოლდოვასთან მიმართებაში გაგაუზიის საკითხიც იქნება გამოყენებული. ამ პროვინციამ უკვე ჩაატარა რეფერენდუმი (უკანონო) და უარი თქვა ევროინტეგრაციაზე.

Reply · Like · Follow Post · 10 February at 11:12



ემზარი კაპანაძე · Tbilisi saxelmwifo samedicino instituti

ძალიან კარგი ანალიზია.

Reply · Like · Follow Post · 12 February at 10:25

Facebook social plugin



ბიზნესი	ტექნოლოგიები	ახალი ამბები	პროფილი	მოსაზრება	სტილი
სტრატეგიები ინვესტიციები ფინანსები ვაჭრობა	მეცნიერება კომუნიკაციები ინტერნეტი სოციალური მედია	საქართველო უცხოეთი	მენარჩები მენეჯერები ინტერვიუ კომპანიები რეიტინგი ისტორია	ედიტორიული Forbes Georgia Forbes	Forbes Life ხელოვნება მოგზაურობა მოდა სპორტი გურმანი

ჩვენ შესახებ

ჩვენთან FORBES GEORGIA-ში

კონტაქტი